

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

20... წლის —

ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N42-ში

არსებულ საცხოვრებელ სახლზე ნესტორ ხვინგიას

მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 მუხლის მეორე პუნქტის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N42-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ნესტორ ხვინგიას მემორიალური დაფა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხედვით.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N42-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ნესტორ ხვინგიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნება თბილისში ველარ მოესწრო. საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ 24 თებერვალს ღამე დედაქალაქი დატოვა. ისინი ჯერ ქუთაისში გადავიდნენ, ხოლო 10 მარტს კი ბათუმში, სადაც 17 მარტამდე დარჩნენ, შემდეგ კი ემიგრაციაში წავიდნენ. სწორედ ამ პერიოდში ბათუმში უნდა გამოქვეყნებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამისთვის შეარჩიეს ცნობილი ბათუმელი პოლიგრაფისტის, ნესტორ ხვინგიას სტამბა.

ხონის რაიონ, სოფელ კუხში დაბადებული ნესტორ ხვინგია ცნობილი პიროვნება გახლდათ. მას დიდი პატივს სცემდნენ ბათუმში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ ივანე ანდრონიკაშვილი, გიორგი ვოლსკი, ივანე მესხი და სხვები. მისსავე სტამბაში იბეჭდებოდა ქართული და რუსული წიგნები. აღსანიშნავია ისიც, რომ ხვინგიას სტამბაში დაიბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წესდება და პროგრამა. სწორედ ნესტორ ხვინგია იყო ის პიროვნება, რომელმაც თავის სტამბაში დაბეჭდა „მოწოდება ქართველებისადმი“, რომელიც მიემდვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ბათუმის ოლქის გადაცემას ინგლისელთა მიერ 1920 წლის 7 ივლისს. რაც შეეხება კონსტიტუციას, ის დაიბეჭდა ცალკე წიგნად სათაურით „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს“. მისი ზომაა 19X13, მოცულობა — 40 გვერდი (ტირაჟი უცნობია). ეს გამოცემა არის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, რომლის ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული ეგზემპლარი დაცულია თბილისში, საქართველოს წიგნის პალატაში. ნესტორ ხვინგიას უშუალო ხელმძღვანელობით დაიბეჭდა კონსტიტუცია, ის იყო კორექტორიც და შემსრულებელიც, რითაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და სამშვილიშვილოდ უკვდავყო საკუთარი სახელი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. 42-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ნესტორ ხვინგიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ელგუჯა ანდრიაძე.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,

ტურიზმისა და სპორტის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე:

 ირაკლი პატარიძე



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი



წერილის ნომერი: 15-15210553
თარიღი: 24/02/2021

ადრესატი:

სულიკო თებიძე
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო,

მოქმედი კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტით მონიჭებული უფლებამოსილების თანახმად, წარმოგიდგინებ ინიციატივას, ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N42-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე საქართველოს პირველი კონსტიტუციის ბეჭდური სახით გამოცემის ხელმძღვანელის - ნესტორ ხვინგიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ელგუჯა ანდრიაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

ნესტორ იაკობის ძე ხვინგია (1888-1941წ.წ.)

დაიბადა ხონის რაიონის სოფელ პატარა კუხში. სკოლის პერიოდი იქვე გაატარა და ხონის გიმნაზია დაამთავრა. გიმნაზიის დასრულების შემდეგ თვითონ და მისი ძმები ნიკოლოზ იაკობის ძე ხვინგია და ვლადიმერ იაკობის ძე ხვინგია წამოვიდნენ ბათუმში. სტამბის დანადგარები უფროსმა ძმამ ნიკოლოზმა, გერმანიიდან ჩამოიტანა. სტამბის შიდა საქმიანობაზე, როგორც თანამშრომლების აყვანაზე, ასევე უშუალოდ ბეჭდვის პროცესზე პასუხისმგებელი ნესტორი გახლდათ. თავადვე მუშაობდა ამკრეფ-კორექტორად. საკუთარი ცხოვრება სტამბას მიუძღვნა, ბეჭდავდა იმ ისტორიული პერიოდისთვის აკრძალულ ქართულ ლიტერატურას.

ნესტორ ხვინგია ცნობილი პიროვნება გახლდათ. მას ბათუმში პატივს მიაგებდნენ. მასთან ახლო ურთიერთობა იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან - ქალაქისთავ ივანე ანდრონიკაშვილთან, გრიგოლ ვოლსკისთან, ივანე მესხთან და სხვებთან. ნესტორ ხვინგიას სტამბაში იბეჭდებოდა ქართული და რუსული წიგნები. ნესტორი პატრიოტი პიროვნება გახლდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ნესტორ ხვინგიამ თავის სტამბაში დაბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წესდება და პროგრამა. ასევე, როგორც საარქივო მასალებიდან ხდება ცნობილი, რომ სწორედ ნესტორ ხვინგია იყო ის პიროვნება, რომელმაც თავის სტამბაში დაბეჭდა „მოწოდება ქართველებისადმი“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ბათუმის ოლქის გადაცემას ინგლისელთა მიერ 1920 წლის 7 ივლისს. ეს ძალიან დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ მოწოდებაში ის საუბრობს საქართველოს წარსულზე, 1918 წლის მარტიდან 1920 წლის ივლისამდე ბათუმის ოლქში განვითარებულ მოვლენებზე და ამ უბედნიერეს დრეზე, როდესაც ბათუმი და მისი ოლქი ისევ დედასაქართველოს დაუბრუნდა. ნესტორ ხვინგიას სტამბაში კიდევ ბევრი მსგავსი წერილები იბეჭდებოდა და ბათუმის მოსახლეობაში ვრცელდებოდა. როდესაც 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო პირველი ქართული კონსტიტუცია, მისი დაბეჭდვა თბილისში ვერ მოხერხდა, რადგან რამოდენიმე დღეში ბოლშევიკებმა განახორციელეს საქართველოს ოკუპაცია და მისი ანექსია. ჟორდანიას ხელისუფლება იძულებული გახდა ბათუმში წამოსულიყო. სწორედ ბათუმში უნდა მომხდარიყო კონსტიტუციის ბეჭდური სახით გამოცემა. ბოლშევიკების მიმართ ლოიალურმა ტიპოგრაფიებმა უარი განაცხადეს კონსტიტუციის დაბეჭდვაზე. დიდი რისკის ფასად, ნესტორ ხვინგიას უშუალო ხელმძღვანელობით 1921 წელს ქ. ბათუმში დაიბეჭდა საქართველოს პირველი კონსტიტუცია. თავად იყო დოკუმენტის კორექტორიც და შემსრულებელიც. ეს იყო უდიდესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ნესტორმა თავისი სახელი უკვდავყო ამ საშვილიშვილო საქმის შესრულებით. მის შესახებ

შემდგომში მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია დიდი პატივისცემითა და მოწიწებით საუბრობდა.

ბოლშევიკების რეპრესიების დროს, ნესტორი დაკავებული იქნა და მისი მეუღლე ნინო (ნუცა) წივწივად იძულებული გახდა გაენადგურებინა უნიკალური ბიბლიოთეკა და საბუთები. ახლანდელ მემედ აბაშიძის ქუჩაზე- სადაც თავად ცხოვრობდა, მის მეუღლესა და მცირეწლოვან ქალიშვილთან (ეთერი) ერთად გასაიდუმლოებულად გამოცემულ მრავალ წიგნთან და დოკუმენტთან ერთად დაიწვა სტამბის მთლიანი დოკუმენტაცია. მაშინდელი ხელისუფლება ნესტორს ბრალს დებდა მოსკოვში, წითელ მოედანზე ჩასვლასა და სტალინის მოკვლის მცდელობაში-რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ოჯახის ვარაუდით, ბოლშევიკებმა გაითვალისწინეს რომ სტამბა უკვე მათთვის ჩაბარებული ჰქონდა და სავარაუდოდ, ისიც გამოიკვლიეს, რომ მოსკოვში ნამყოფიც კი არ ყოფილა. ბოლშევიკების მიერ წართმეულ სტამბაში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშად მუშაობდა. 1941 წელს- სტამბიდან ტყვიით მოწამლული ორგანიზმის ქრონიკული დაავადების გამო, ნესტორი კრიტიკულ მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.